@Naec - ზოგადი უნარების გამოცდის იმიტაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში სადიაგნოსტიკო ტესტირება - *შეამოწმე შენი თავი Naec-თან ერთად*

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებს სთავაზობს **ზოგადი უნარების ტესტირებაში მონაწილეობას.** შეთავაზება ეხება როგორც მე-12 კლასელებს, ისე სკოლადამთავრებულებს. ტესტირების გავლა მე-11 კლასელებსაც შეეძლებათ - ისინი ტესტის მოკლე ვერსიაზე იმუშავებენ. მონაწილეებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, გაიარონ ტესტირება სპეციალურად ორგანიზებულ საგამოცდო სექტორში ზედმიწევნით დაცული საგამოცდო პროცედურებით. **ტესტირებისათვის რეგისტრაცია 27 მარტს დაიწყება.**

მსურველებმა უნდა გადაიხადონ ტესტირების საფასური და გაიარონ რეგისტრაცია ვებგვერდებზე: **www.naec.gov.ge** ან **online.naec.ge ტესტირებისას გამოყენებული იქნება სრულიად ახალი დავალებები** (პროექტის ფარგლებში გამოყენებული დავალებები არ გამოქვეყნდება). **შედეგს მონაწილე მიიღებს ტესტირების დასრულებისთანავე.**

მონაწილეს საშუალება ექნება აირჩიოს:

- ✓ ტესტირების თარიღი მოცემული კალენდრის მიხედვით;
- ✓ ტესტის სრულად ელექტრონული (პასუხების ელექტრონულად მონიშვნის შესაძლებლობა) ან ნახევრადელექტრონული, გამოცდაზე არსებული ფორმატის იდენტური ვერსია - ორივე შემთხვევაში მონაწილე შედეგს გაიგებს გამოცდის დასრულებისთანავე.

სრულად ელექტრონული ფორმატის შემთხვევაში მონაწილე შედეგს დაინახავს ეკრანზე, ნახევრად ელექტრონული (გამოცდის ანალოგიური) ფორმატის არჩევის შემთხვევაში, მიიღებს ფურცელს, სადაც მითითებული იქნება მონიშნული პასუხებისა და სწორი პასუხების შესაბამისი უჯრები. ტესტირებაში მონაწილეობის საფასურია 20 ლარი. ინფორმაცია თანხის გადახდის ფორმების შესახებ გამოქვეყნდება ვებგვერდზე **www.naec.gov.ge**

რეგისტრაციისა და ტესტირების დეტალური ინსტრუქცია გამოქვეყნდება რეგისტრაციის დაწყებამდე ვებგვერდზე **www.naec.gov.ge**